



შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

სამაგისტრო პროგრამის დასახელება:

”ბიზნესის ადმინისტრირება”

- **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
Master of Business Administration
- **სამაგისტრო პროგრამის მოცულობა:** 120 კრედიტი
- **სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება:** სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს საერთო სამაგისტრო/საერთაშორისო გამოცდების, შიდა/გარე მობილობის საფუძველზე ან საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. სდასუ-ში სამაგისტრო პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობებია: შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები სპეციალობასა და უცხოურ ენაში (B2 დონე).

• პროგრამის მიზანი

”ბიზნესის ადმინისტრირების” სამაგისტრო პროგრამის მიზანია მომზადდეს შიდა და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში და შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტი, რომელსაც ექნება მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტენდენციებისა და ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესების, მდგრადი განვითარებისა და ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხების, საერთაშორისო ბიზნესის ფორმებისა და რეგულირების მეთოდების, საერთაშორისო ბიზნეს-ურთიერთობებისა და რისკების მართვის პრინციპების ღრმა და სისტემური ცოდნა; პროფესიული და პიროვნული პასუხისმგებლობა; მოვალეობების შესრულების, ეთიკური ნორმების დაცვისა და ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანის მოტივაცია; *შეძლებს*: ორგანიზაციათა ბიზნეს-საქმიანობის სპეციფიკის და არსებული გამოწვევების გათვალისწინებას, მათი კომერციული საქმიანობის კვლევას და ბიზნეს-საქმიანობის რაციონალურად წარმართვას, ბიზნეს-სტრატეგიების განსაზღვრას და განხორციელებას, მართვის თანამედროვე მეთოდების გამოყენებას და საერთაშორისო ბიზნესის სამართლებრივი რეგულირების ნორმების გათვალისწინებას, საერთაშორისო ბიზნეს-გარემოს ანალიზსა და ბიზნეს-რისკების შეფასებას, სწორი მენეჯერული გადაწყვეტილების მიღებას და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბებას, აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და ინგლისურ ენებზე თავისი არგუმენტების და მოსაზრებების შესახებ დისკუსიას და ბიზნეს-კომუნიკაციების დამყარებას, მოწინავე გამოცდილების და ინოვაციების შესაბამისად მოქმედებას, უახლესი მონაცემების და ინფორმაციის კრიტიკულ ანალიზსა და ინოვაციურ სინთეზს, საინფორმაციო-საკომუნიკაციო-ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებას, ცოდნის და კომპეტენციების სრულყოფის მიზნით სწავლის დამოუკიდებლად წარმართვას, დაგეგმვას და სწავლის გაგრძელებას დოქტორანტირაში. ყოველივე ზემოაღნიშნული განაპირობებს მზარდი კონკურენციის და ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის პირობებში სათანადო კომპეტენციებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტის ჩამოყალიბებას, რომელსაც შეუძლია პრაქტიკულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში საკუთარი

კომპეტენციების და შესაძლებლობების სრული რეალიზაცია და კარიერული წინსვლა წარმატებული საქმიანობის შედეგად.

სწავლის შედეგები

სამაგისტრო პროგრამით დასახული მიზნების თანმიმდევრული და სრულფასოვანი განხორციელება უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურის) კვალიფიკაციათა აღმწერის სათანადო დონით:

ცოდნა და გაცნობიერება

- მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესების აღწერა და დახასიათება;
- გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო ბიზნესში არსებული პრობლემებისა და მათი რეგულირების მექანიზმის აღწერა, ურთიერთდაკავშირება და ერთმანეთისგან განსხვავება;
- ბიზნესის და კონკრეტულად - საერთაშორისო ბიზნესის სფეროს, მისი ორგანიზაციული საფუძვლების, რეგულირებისა და მართვის პრინციპების ღრმა და სისტემური ცოდნის დემონსტრირება;
- საერთაშორისო ბიზნეს-გარემოზე მოქმედი ფაქტორების ჩამოთვლა-შეფასება და საერთაშორისო ბიზნესის სფეროში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესების დახასიათება;
- საერთაშორისო ბიზნესის თავისებურებებისა და გლობალური ეკონომიკური პრობლემების, მდგრადი განვითარებისა და ეკონომიკური უსაფრთხოების აქტუალური ასპექტების დეტალურად ჩამოყალიბება და აღწერა;
- საერთაშორისო ბიზნესის სფეროსთვის დამახასიათებელი სპეციფიური მეთოდებისა და საკითხების ღრმა და სისტემური ცოდნა, ცოდნის კონკრეტულ სიტუაციებთან მისადაგება;
- საერთაშორისო კონკურენციის საკითხების ღრმა ცოდნა;
- საერთაშორისო ბიზნესის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის ცოდნის დემონსტრირება;
- საინვესტიციო პოლიტიკის, საერთაშორისო ინვესტიციების, მათი განხორციელებისა და რეგულირების მექანიზმების ღრმა ცოდნის საფუძველზე ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზების გაცნობიერება;
- საერთაშორისო ბიზნესში ჩართული კომპანიის ბიზნეს-საქმიანობის სპეციფიკის, მისი მართვის და სტრატეგიის შემუშავება/ განხორციელების და განვითარების საკითხების ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე ორგანიზაციის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავება.
- ბიზნეს-საქმიანობის რეგულირების მექანიზმების, ორგანიზაციის ეკონომიკური მდგომარეობის დახასიათება, შესწავლა და კვლევა უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენება;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- ორგანიზაციის ბიზნეს-საქმიანობასთან დაკავშირებული მონაცემების გამოკვლევა, ინფორმაციის ურთიერთდაკავშირება, დაკონკრეტება და განზოგადება;
- საერთაშორისო ბიზნესის რეგულირების სამართლებრივი ნორმების შესაბამისად ორგანიზაციის საქმიანობის დაგეგმვა და პოლიტიკის შემუშავება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;
- ცვლადი საერთაშორისო ბიზნეს-გარემოს გათვალისწინებით და მოვლენათა შესწავლის საფუძველზე ორგანიზაციის ბიზნეს-საქმიანობის პერსპექტივების განსაზღვრა, ბიზნეს-სტრატეგიების შემუშავება და ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ

- გარემოში მოქმედება;
- მენეჯმენტისა და ადმინისტრირების პროცესში არასტანდარტულ სიტუაციათა ანალიტიკური შეფასება და წამოჭრილ პრობლემათა იდენტიფიკაციის, ოპერატიული დიაგნოსტიკების ახალ სიტუაციასთან ადაპტირებისა და მათი გადაჭრის ღონისძიებათა დასახვა, ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება.
 - გარემოს შესწავლის საფუძველზე არსებული და მოსალოდნელი რისკების შეფასება, მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირება და უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით შედეგებზე ორიენტირებული სამოქმედო გეგმის დამოუკიდებლად შემუშავება;
 - ორგანიზაციის წარმატებული ბიზნეს-საქმიანობის უზრუნველყოფის, მენეჯმენტისა და მარკეტინგის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით საერთაშორისო ბაზარზე მიმდინარე პროცესების იდენტიფიცირება და უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გათვალისწინებით დამოუკიდებლად კვლევითი პროექტების განხორციელება, შედეგების დასაბუთება, რეკომენდაციებისა და ოპტიმიზაციის ღონისძიებების შემუშავება, წარდგენა და შემდგომი განხორციელება;
 - რისკების მართვის პრინციპების ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე სწორი სტრატეგიების შემუშავება და რეალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესში ჩართული ორგანიზაციის საქმიანობაში არსებული პრობლემის გაცნობიერება და კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება;
 - საინვესტიციო გადაწყვეტილებების რისკის შესწავლა და შეფასება, მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირება, სწორი საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავება;
 - სამუშაო ჯგუფში კოორდინირებული მუშაობა, დროის მენეჯმენტი, შესასრულებელი სამუშაოს თანმიმდევრულ ეტაპებად რაციონალური განაწილება და საკუთარი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულება, დასაბუთებული კრიტიკის გათვალისწინება, სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეზე გადაწყვეტილების მიღება;
 - ბიზნეს-საქმიანობაზე გარე ფაქტორების ზეგავლენის ანალიზისა და ორგანიზაციის მენეჯმენტში არსებული პრობლემების შესწავლის საფუძველზე ძირითადი პრობლემების გამოკვეთა, მათი გამომწვევი მიზეზების დადგენა და შეფასება, მიღებული ინფორმაციისა და მონაცემების კრიტიკული ანალიზი, არგუმენტირებული დასკვნის გამოტანა და კომპლექსური პრობლემების გადაჭრის ახალი, ორიგინალური გზების ძიება და უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება.
 - საერთაშორისო ბიზნესის სფეროსთან დაკავშირებული რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;
 - საერთაშორისო ბიზნესის სფეროში მიმდინარე პროცესების და ცვლილებების უახლესი კვლევების შედეგებზე და უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი, პროგნოზების შემუშავება და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;
 - გლობალური ეკონომიკური ტენდენციების და საერთაშორისო ბიზნესზე გავლენის მქონე ფაქტორების შესწავლა, ინფორმაციის ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე ორგანიზაციის განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივების შესახებ არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბება;

კომუნიკაციის უნარი

- საერთაშორისო ბიზნესში ჩართული ორგანიზაციის კომერციულ საქმიანობაზე გარე ფაქტორების გავლენის შესწავლა-ანალიზი, საქმიანობაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება, მათი წარმოქმნის ობიექტური მიზეზების დადგენა და გადაჭრის მიზნით ბიზნეს-გარემოს დინამიკური ანალიზი უახლესი კვლევების, თანამედროვე გამოცდილების და მოწინავე თეორიული კონცეფციებისა და მიდგომების გამოყენებით;
- საერთაშორისო ბიზნეს-გარემოს შესწავლის და უახლესი კვლევების შედეგების საფუძველზე ორგანიზაციის საინვესტიციო გადაწყვეტილებების რისკის შეფასება და ოპტიმალური საინვესტიციო პორტფელის შესახებ არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბება;
- საერთაშორისო ბიზნეს-გარემოში მიმდინარე პროცესების, ბიზნესზე მოქმედი ფაქტორების და საწარმოს ბიზნეს-საქმიანობის შესახებ რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზისა და ბიზნეს-რისკების კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი და საერთაშორისო ბაზრებზე ორგანიზაციის ბიზნეს-საქმიანობის შესაძლებლობის, პერსპექტივების განსაზღვრა და დასაბუთება.
- თავისი დასკვნების, არგუმენტებისა და კვლევის მეთოდების შესახებ კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და ინგლისურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით;
- ბიზნეს-ურთიერთობების დამყარება, საქმიანი მოლაპარაკებების წარმართვა, კომუნიკაცია ბიზნეს-პარტნიორებთან და კლიენტებთან ქართულ და ინგლისურ ენებზე, კომუნიკაციის მიზნით სხვადასხვა საშუალებების, მათ შორის, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, გამოყენება;
- სამუშაო ჯგუფის წევრებთან კომუნიკაცია - სამუშაოს მიზნების და ამოცანების გამოკვეთა, მოსალოდნელი შედეგების აღწერა, ტრეინინგები, შესრულებული სამუშაოს შეფასება, შრომითი კონფლიქტების მართვა, კონფლიქტის მოგვარება კომუნიკაციის გზით და სათანადო ღონისძიებების მომზადება;
- ქართულ და ინგლისურ ენებზე საქმიანი მიმოწერა, დოკუმენტაციის შედგენა და ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული პრეზენტაციის დამოუკიდებლად მომზადება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გათვალისწინებით და დაინტერესებული პირებისთვის გაცნობა.
- ბიზნეს-საქმიანობასთან და ორგანიზაციის მენეჯმენტთან დაკავშირებული ინოვაციური მიდგომების და მოწინავე გამოცდილების გაზიარება, უახლესი მონაცემებისა და ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება და შესწავლა;

სწავლის უნარი

- სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვა;
- დამოუკიდებლად ცოდნის და კომპეტენციების სრულყოფა და მუდმივი განახლება, სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა და შემდგომი (დოქტორანტურაში) სწავლის საჭიროებების ობიექტურად განსაზღვრა.

ღირებულებები

- საერთაშორისო ბიზნესის სფეროს თავისებურებების, ეთიკური, სოციალურ-ფსიქოლოგიური, სამართლებრივი, საზოგადოებრივი და კულტურათაშორისი ნორმების გათვალისწინების და დაცვის პასუხისმგებლობა;
- პროფესიული და პიროვნული პასუხისმგებლობა;
- ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანის მოტივაცია.

მაგისტრანტის ცოდნის შეფასების სისტემა

მაგისტრანტთა მიღწევათა/ცოდნის შეფასება სამაგისტრო პროგრამის კომპონენტების მიხედვით:

- სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით. სასწავლო კომპონენტის შეფასება მოიცავს ორ ფორმას - შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 21 ქულა. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50 პროცენტია. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს.
- შეფასების ფორმები, კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია მაგისტრანტებისთვის.

შენიშვნა: შუალედური შეფასების ქულა შეიძლება იყოს განსხვავებული სასწავლო კურსის სპეციფიკისა და სასწავლო კურსის განმახორციელებელი ლექტორის მოსაზრებიდან გამომდინარე, შეფასების მეთოდები, ფორმები, კრიტერიუმები და შესაბამისი ქულები მითითებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

პრაქტიკა: აღნიშნული სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება პრაქტიკის ხელმძღვანელის და მენტორის დახასიათების გათვალისწინებით მაგისტრანტის მიერ მომზადებული და დაცვის მიზნით კომისიის წინაშე წარმოდგენილი პრაქტიკის ანგარიშის საფუძველზე. პრაქტიკის ანგარიშის შეფასება შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით კანონმდებლობით დადგენილი მაგისტრანტთა/სტუდენტთა მიღწევათა შეფასების სისტემის შესაბამისად. მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას, დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა. პრაქტიკის ანგარიშის შეფასება მრავალჯერადი და მრავალკომპონენტანია. შეფასებას ექვემდებარება უშუალოდ პრაქტიკის ხელმძღვანელის/მენტორის მიერ (მინ. 21 ქულა- მაქს. 60 ქულა) და დაცვის კომისიის მიერ (მინ. 20 ქულა- მაქს. 40 ქულა). პრაქტიკის ხელმძღვანელის/მენტორის მიერ პრაქტიკის ხელმძღვანელის/მენტორის მიერ პრაქტიკის ანგარიშის შეფასების და კომისიის მიერ პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები მოცემულია პრაქტიკის სილაბუსში და ხელმისაწვდომია მაგისტრანტებისათვის.

კვლევითი კომპონენტი-სამაგისტრო ნაშრომი: სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით) მაქს. 100 ქულა. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესი და პირობები მოცემულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების და დაცვის დებულებაში და ხელმისაწვდომია მაგისტრანტებისათვის.

მაგისტრანტთა მიღწევათა/ცოდნის შეფასების სისტემა

- უნივერსიტეტში შემოღებულია სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა. შეფასებათა მაქსიმალური ჯამური ქულა (%) უდრის 100;
- შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
 - (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
 - (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
 - (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
 - (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
 - (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

- ორი სახის უარყოფით შეფასებას:
 - (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
 - (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
- საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ნიშანი F (ჩაიჭრა) მიღების შემთხვევაში სტუდენტი ხელმეორედ შეისწავლის სასწავლო კურსს და ჩააბარებს გამოცდას. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება სამაგისტრო ნაშრომის მიმართ.
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისათვის FX-ის მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო F-ის მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

საკონტაქტო პირი: ქეთევან ნანობაშვილი - ეკონომიკისა და ბიზნესის სკოლის დეკანი, პროფესორი
ტელ.: (+995) 577 57 60 90
ელ-ფოსტა: qeti.nanobashvili@gmail.com